



აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:
acad.as@gaas.dsl.ge

ვებ-საიტი:
www.gaas.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51 ტ. 2-91-03-90

*ტყალო აბ რნდა ჰგავდეს დღუენდელს, თუ კაცს პრეტერნი,
წინსულს ადამიანისა თუჩ სიფცუად აბ მიანხნია
ილია ჩავქავაძე*

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს. ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შუქდება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო – საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

სოციალიზაცია და ეკონომიკა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2015 წლის 31 ივლისს მოისმინა მოხსენება "სოციალიზაცია და ეკონომიკა." მომხსენებელი აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2015 წლის 31 ივლისს მოისმინა მოხსენება "სოციალიზაცია და ეკონომიკა." მომხსენებელი აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე.

აღინიშნა, რომ სოციალიზაცია მეცნიერების შედარებით ახალი მიმართულებაა, რომელიც შეიქმნა გასული საუკუნის მეორე ნახევარში და იგი სწავლობს ადამიანების მსოფმხედველობის ჩამოყალიბების პროცესებს, მათი აზროვნების ტრანსფორმაციას, საზოგადოების ჩართულობას ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სოციალიზაცია, ადამიანების აზროვნების სელექციის შედეგია. მყარი სოციალური გარემო კი მტკიცე ეკონომიკის აშენების ფაქტორია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს, განსაზღვრავს საზოგადოების სოციალიზაციის ხარისხიც.

მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე, საშუალებას გვაძლევს, შევისწავლოთ საზოგადოების განვითარება განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში. გაგაანალიზოთ ფორმაციების მიხედვით, ადამიანების

ცხოვრების წესი, შევისწავლოთ საზოგადოებრივი თანაცხოვრების გენეტიკური განვითარების დინამიკა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეთნიკური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხარისხით. ყოველივე ამას განაპირობებს განსხვავებული ცნობიერება, რომლის საფუძველი ინდივიდუალური საცხოვრისი პირობებია.

ქართველებმა, სოციალური განვითარების ყველა საფეხური გავიარეთ, რაც ჩვენს გენეტიკურ სრულყოფაზე მეტყველებს. კულტურით, დამწერლობით, განვითარების საერთო დონით ქართველები სამართლიანად დგანან მსოფლიოს ცივილიზაციის სათავეებთან.

ფეოდალურ ხანაში განვითარებულმა ხელოსნობამ, დღის წესრიგში ჩააყენა სოციალიზაციის საკითხები, გაჩნდნენ მანუფაქტურული გაერთიანებები, დაიხვეწა სამეწარმეო ტექნიკა, ადამიანებმა ისწავლეს წყლის რესურსების საყოფაცხოვრებო და საწარმოო მნიშვნელობით გამოყენება, რაც მნიშვნელოვანი პროგრესი იყო. მათე-მეთეორთმეტე საუკუნეებში, საქართველო კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში, უძლიერესი ფეოდალური ქვეყანა იყო შესაბამისი სახელმწი-

ფო და საწარმო ინფრასტრუქტურით, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკით. მისი საერთაშორისო ავტორიტეტი თითქმის ბიზანტიის იმპერიის ტოლფასი გახდა.

მომდევნო საუკუნეებში საქართველოში გამოჩნდა კაპიტალისტური ფორმაციისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რომლის განვითარებაც საქართველოს რუსეთთან შეერთებამ უფრო დაახჩარა. ქვეყანაში დაიწყო კლასობრივი დაყოფა, ბატონყმობის გაუქმებამ, სერიოზული ბიძგი მისცა ახალი ტიპის საწარმოო და ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

იმ პერიოდიდან საქართველოს განვითარება და საზოგადოების სოციალიზაცია თანდათან მიუახლოვდა ევროპულ დონეს, გაჩნდა ქართული კაპიტალი, რომელმაც სათავე დაუდო ქართული კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას.

ფორმაციათა ცვლა, ყველა ქვეყანაში მტკივნეული პროცესია და ამის მიზეზი, არა მარტო ადამიანებში ძველი მსოფმხედველობის მსხვრევისა და ახლის შექმნაა, არამედ ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებაცაა.

ქვეყნის განვითარების ეფექტურობას, გეოგრაფიულ საზღვრებში, წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა განსაზღვრავს, იგი საწარმოო პროცესებში საზოგადოების ჩართულობისა და ქვეყნის მმართველობის ეფექტურობის მაჩვენებელიცაა.

წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნის პოლიტიკაც, წარმატებულია და ეს კანონზომიერი პროცესია. აქედან გამომდინარე, საქართველოს შიდა და გარე პოლიტიკაც წარუმატებელია. ადამიანების უმუშევრობა პიკს აღწევს!... და ამიტომაც საზოგადოების პოლიტიზირებაც მაქსიმალურია. ქვეყანაში არსებული ქაოსური სიტუაცია, არ იძლევა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების შესაძლებლობას, იგი ბუნდოვანი და კრიმინალიზირებულია, რაც საშიში ტენდენციაა.

საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მსოფმხედველობა, ჩამოყალიბდა წარმოების სოციალისტური სისტემის პირობებში, რომლის ძირითადი, ფუნდამენტური დებულება, წარმოების საშუალებებზე მ.შ. მიწახეც საერთო-სახალხო საკუთრებაა. ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებში გაუღერებულმა ლოზუნგმა “მიწა გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები მუშებს” – კარგად “იმუშავა”, თუმცა მომდევნო წლებში მოხდა ეკონომიკური ვარდნა, რამაც საზოგადოებრივი აზრის დეფორმაცია გამოიწვია. ეს უკვე სისტემის კრაზის დასაწყისი იყო.

ადამიანები ძნელად ეგუებიან ცხოვრების წესის შეცვლას, მით უმეტეს თუ არასტაბილურობაც უწყობს ხელს. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის, დღემდე აუხსნელია ქონების გადანაწილების ის პროცესები, რომლის შედეგადაც, გაურკვეველი საქმიანობის ადამიანებმა უპრობლემოდ ჩაიგდეს ხელში ის უზარმაზარი სიმდიდრე, რასაც კომუნისტების დროს “საერთო-სახალხო” საკუთრება ერქვა. ამ

პროცესმა ქართული საზოგადოება ორ ნაწილად გაყო: მქონებლად და არაფრისმქონედ, ანუ მდიდრებად და ღარიბებად. პირველი სარგებლობს ყველა ცხოვრებისეული სიკეთით, მეორე ყოველივე ამას მოკლებულია.

ადამიანების აზროვნებაში ჯერ კიდევ მყარადაა გამჯდარი ცხოვრების სოციალისტური წესი, საერთო-სახალხო საკუთრების იდეოლოგია და სხვა ... რომელსაც ე.წ. დემოკრატიულმა ხელი-სუფლებებმა, გარდა დემაგოგიისა, ჯერჯერობით სხვა ვერაფერი დაუპირისპირა.

ძველი თაობისაგან განსხვავებით, ახალი თაობისათვის სოციალიზაციის პროცესები შედარებით იოლად და უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. ამაში მათ ტექნიკური საშუალებებიც ეხმარებათ. კომპიუტერი, რომელიც შეიცავს უზარმაზარ ინფორმაციას, თანამედროვე ახალგაზრდების ცხოვრების ნაწილი გახდა. დღევანდელ თაობას, დაუბრკოლებლად შეუძლია გაერკვეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. იგი უმტკივნეულოდ გადის ადაპტაციის პროცესს და მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების თანამონაწილედ კი ხდება, რასაც უკვე ჩამოთვლილი მიზეზების გამო ვერ “ახერხებს” წინა თაობები.

ახალგაზრდებმა კარგად აუღეს ალღო იმ ურთიერთობებს, რომლებიც მკვიდრდება ქვეყანაში, კერძოდ მეწარმესა და დამსაქმებლებს შორის. ისინი სწრაფად გაერკვენ მიმდინარე საწარმოო პროცესებში, ისწავლეს მენეჯმენტიც, მარკეტინგიც, სხვა ეკონომიკური და პოლიტიკური ტერმინები, ამიტომაც ახალ პირობებთან მათი ადაპტაციაც შედარებით უმტკივნეულოა.

მიუხედავად ამისა, უშუალოდ საწარმოო პროცესებში ახალგაზრდობის ჩართულობა 10-15 პროცენტს არ აღემატება, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე საქართველოში, წარმოების ძირითადი ტვირთი ისევ ძველ, კომუნისტების დროინდელ თაობაზე მოდის, თუმცა როგორც ითქვა, ახალ პირობებთან მათი სოციალიზაცია ჯერ კიდევ ვერ შედგა, ძველი მსოფმხედველობით მუშაობა კი სასურველ ეკონომიკურ შედეგს ვეღარ მოიტანს.

ახალი აზროვნების ჩამოყალიბება უნდა მოხდეს მეცნიერების დახმარებით. სამწუხაროდ ხელისუფლებები, ამ მეტად სერიოზულ ბერკეტს ვერ იყენებენ?!

იმედია, დროთა განმავლობაში ქართული საზოგადოებაც შედგება, წარსული ცხოვრებისკენ ყურება დროებითია, ის თაობაც წავა, რომელსაც ძველი ცხოვრების ნოსტალგია დღემდე შემორჩა. მომავალი ევროპულ ღირებულებებს ანიჭებს უპირატესობას და ეს კანონზომიერიცაა. წარსულისაკენ ყურება არაპერსპექტიულია, ამიტომ ძველმა თაობამაც უნდა დაძლიოს წარსულის ნოსტალგია და ხელი არ შეუშალოს ახალ თაობას. მხოლოდ შეკავშირებული ერი შეძლებს ახალი ცხოვრების აშენებას და ეს პერიოდიც დადგება, თუ როდის?! ამას განსაზღვრავს საზოგადოების სოციალიზაცია, რომელიც აუცილებლად მოხდება.

საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის (ქ. ვარნა, ბულგარეთი) მუშაობის შედეგების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2015 წლის 31 ივლისს მოისმინა მოხსენება “საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის (ქ. ვარნა, ბულგარეთი) მუშაობის შედეგების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე.

2015 წლის 21–25 ივნისს ქალაქ ვარნაში (ბულგარეთი), ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონგრესი. თემატიკა მრავალფეროვანი იყო და ეხებოდა ტექნიკურ პროგრესს სოფლის მეურნეობაში და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლებას. წარმოდგენილი სამეცნიერო მოხსენებები დაყოფილი იყო სამ სექციად: მანქანები სოფლის მეურნეობაში. გამოკვლევა და გამოცდა. ახალი ტექნოლოგიები; მანქანების გამოყენება, სერვისი, ეკოლოგია; ინოვაციური ელექტროტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში. სამეცნიერო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის 100-ზე მეტი მეცნიერი გერმანიიდან, პოლონეთიდან, იტალიიდან, ხორვატიიდან, უნგრეთიდან, ბულგარეთიდან, ჩეხეთიდან, ასევე ირანიდან და სამხრეთ აფრიკიდან.

აღინიშნა, რომ საორგანიზაციო კომიტეტი აწარმოებდა წარმოდგენილი სამეცნიერო მოხსენებების მკაცრ შერჩევას, რომლის დროსაც აუცილებელი კრიტერიუმები იყო თემის აქტუალობა, მისი ინოვაციურობა და მეცნიერული დონე. ამის გამო წარმოდგენილი 145 მოხსენებიდან საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო მხოლოდ 101.

სამეცნიერო კონგრესის პლენარული სხდომა გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარემ პროფესორმა მიხო მიხოვმა. ის გულთბილად მიესალმა კონგრესის მონაწილეებს და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ასეთი სამეცნიერო ფორუმები ხელს უწყობენ სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა დაახლოებას, მათ ინტეგრაციას, გამოცდილებათა გაზიარებასა და, რაც მთავარია, ახალგაზრდა მეცნიერების წარმოჩენას.

კონფერენციას მიესალმნენ: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი პოპოვი-ბულგარეთის სამეცნიერო-ტექნიკური კავშირის თავჯდომარე; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქრისტო ბელოვი, ქალაქ რუსეს ანგელ კინჩევის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი; უკრაინის ნაციონალური სამეცნიერო ცენტრის „სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის,, დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ვალერი ადამჩუკი.

აკადემიკოსმა ჯემალ კაციტაძემ წარადგინა სამეცნიერო მოხსენება “ **Theory of similarity and dimensions in the study of the process of restoration of details of agricultural machinery under submerged arc welding**“ (მსგავსობითობისა და განზომილებათა თეორია სასოფლო სამეურნეო ტექნიკის დეტალების დნობის ქვეშ დადუღებით აღდგენის პროცესის გამოკვლევის დროს“).

უკრაინის ნაციონალური სამეცნიერო ცენტრის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრი-

ფიკაციის ინსტიტუტის დირექტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, აკადემიკოსმა ვალერი ადამჩუკმა წარმოადგინა მოხსენება: **კომბინირებულად სათესი აგრეგატის ბრტყელ-პარალელური მოძრაობის გამოკვლევა**. მოხსენება მაღალ თეორიულ დონეზე იყო შესრულებული და ერთ-ერთ საუკეთესო სამეცნიერო შრომად იქნა ცნობილი კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ს.სტრეკალოვმა, ვოლგოგრადის სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო უნივერსიტეტი, წარმოადგინა მოხსენება: **ახალი თაობის ტალღური ძრავების დამუშავების პრობლემები**. ამ მოხსენებამაც კონგრესის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგანაც ეხებოდა ენერჯის ალტერნატიული წყაროების მოძიების პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას, კერძოდ ტალღის ენერჯის აკუმულირებასა და გამოყენებას. ავტორმა გააკეთა აშშ-ში შესრულებული სამუშაოების ანალიზი და წარმოადგინა თავისი მოსაზრებები ტალღური ძრავის შესახებ სქემების გარეშე (იგი ახდენს გამოგონების დაპატენტებას).

პროფესორმა მ. ზასტემპოვსკიმ და პროფესორმა ვ. ბოჩარმა, ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მექანიკური ინჟინერიის ფაკულტეტი (პოლონეთი) წარმოადგინეს მოხსენება: **სასოფლო სამეურნეო ტექნიკის მჭრელი აპარატების ახალი კონსტრუქციები**.

ავტორებმა წარმოადგინეს მოსავლის ამღები სათიბელას მჭრელი აპარატის ახალი კონსტრუქცია და მისი გამოცდის შედეგები.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ბულგაკოვმა და აკადემიკოსმა ვ. ადამჩუკმა, უკრაინის ნაციონალური სამეცნიერო ცენტრის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტი, წარმოადგინეს მოხსენება: **შაქრის ჭარხლის ამღები მანქანის მუშაობის თეორიული საფუძვლები**. ეს სამეცნიერო ნაშრომიც მაღალ თეორიულ და პრაქტიკულ დონეზე იყო შესრულებული და მოხვდა საუკეთესოთა ხუთეულში.

პროფესორმა, დოქტორმა ლ. ფრერიჩმა, დიპლომირებული ინჟინერმა ლ. თიელკემ, დიპლომირებულმა ინჟინერმა ს. კემპერ-ბრაუნშვაიგმა ტექნიკური უნივერსიტეტის მობილური მანქანებისა და ტრანსპორტის კომერციის ფაკულტეტი (გერმანია) წარმოადგინეს მოხსენება: **სასოფლო სამეურნეო პროცესების მოდელირება დისკრეტული ელემენტების მეთოდით**. სამეცნიერო მოხსენება ეხებოდა სასოფლო სამეურნეო მასალების თვისებების გამოკვლევას რეოლოგიის გამოყენებით. ავტორებმა წარმოადგინეს მათ მიერ დამუშავებული სტენდები, მოწყობილობები და მათი გამოცდის შედეგები.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ა. ადილშეევმა, ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი წარმოადგინა მოხსენება: **მოქნილი დრეკად რგოლიანი ბალახის ორდანიანი მჭრელი აპარატის მექანიზმის კინემატიკური გამოკვლევა**. ავტორის მიერ წარმოდგენილი იქნა ახალი მრუდმხარა-მხრეულიანი მექანიზმი მოქნილი დრეკადი რგოლებით ბალახის სათიბელას ამვისათვის და მიღებულია ანალიზური გამოსახულებანი მჭრელი დანის გადაადგილების, სიჩქარისა და აჩქარების განსაზღვრისათვის.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ტ. აბილჯანულმა და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა დ. აბილჯანოვმა მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ყაზახეთი), წარმოადგინეს მოხსენება: **ვიტამინის შემცველი ბალახის ფევილის დამამზადებელი ხაზის თეორიული, ექსპერიმენტული და საწარმოო გამოკვლევის შედეგები**. ავტორებმა წარმოადგინეს მათ მიერ დამუშავებული მოწყობილობების პრინციპული სქემები და გამოკვლევის შედეგები

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, ე. ივანოვმა, ნიჟნი ნოვგოროდის აგრარული უნივერსიტეტი წარმოადგინა მოხსენება: **ადგილობრივი წყლების წყაროებიდან ენერჯის ეფექტურად წარმოება**. ავტორმა წარმოადგინა ორიგინალური მოწყობილობა, რომელიც საშუალებას იძლევა მიღებული და ტრანსფორმირებული იქნას წყაროების წყლის ენერჯია სპეციალური მრავის გარეშე.

დოცენტმა ა. დერკაჩმა, დნეპროპეტროვსკის აგრარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი (უკრაინა), წარმოადგინა მოხსენება: **კარბონპლასტიკების გამოყენება ფართომოდებიან სათეს აპარატებში**. ავტორმა წარმოადგინა ორიგინალური კომბინირებული სათესი კომპლექსი, რომელიც ხასიათდება მაღალი რემონტვარგისიანობით იმის გამო, რომ გამომთესი აპარატი დამზადებულია კომპოზიტური მასალებისაგან.

დოცენტმა ს. ოვსიანიკოვმა, წარმოადგინა მოხსენება: **მინიაგროტექნიკის ფუნქციონალური ადაპტური სისტემები**. ნაშრომში ავტორი გვთავაზობს სხვადასხვა სახის ფუნქციონალურ ადაპტურ ელექტრულ სისტემებსა და მოწყობილობებს მოტობლოკების ოპერატორების შრომის შემსუბუქებისათვის.

პროფესორმა მ. შულიაკმა და პროფესორმა ნ. არტიომოვმა, პეტრე ვასილენკოს სახელობის ხარკოვის ეროვნული აგრარულ-ტექნიკური უნივერსიტეტი (უკრაინა), წარმოადგინეს მოხსენება: **სატრაქტორო აგრეგატის მოძრაობის წინააღმდეგობის ძალის დამოკიდებულება ცვალებადი მასის მქონე სასოფლო სამეურნეო მანქანისაგან**. ავტორებმა წარმოადგინეს საინტერესო მოდელები სატრაქტორო აგრეგატის მოძრაობის წინააღმდეგობის ძალის დამოკიდებულებისა ცვალებადი მასის მქონე სასოფლო სამეურნეო მანქანისაგან დამოკიდებულებით.

პროფესორმა დ. ბერიოვამ და ასოც. პროფესორმა ი. ჯურგენამ, ლატვიის აგრარული უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი წარმოადგინეს მოხსენება: **ელექტრომობილების საექსპლუატაციო მახასიათებლები**. ავტორები გვთავაზობენ ელექტრომობილების კონსტრუქციებს ქალაქის მასშტაბით და ასაბუთებენ მათი გამოყენების ეკონომიკურ ეფექტურობას.

პროფესორმა, დოქტორმა ბ. კურცმა მიუნხენის უნივერსიტეტის ინდუსტრიული ფაკულტეტი (გერმანია), წარმოადგინა მოხსენება: **რეკომენდაციები მანქანის კაბინაში მყოფი ოპერატორის ერგონომიკური შეფასებისათვის**. მოხსენება საინტერესო იყო და საყოველთაო ინტერესი გამოიწვია კონგრესის მონაწილეთა შორის.

ინჟინერმა ს. მაჯიარამ და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ვოზნიაკმა, ფილოსოფიის დოქტორმა პ. კუბიაკმა, პროფესორმა ჟ. ოზუნამ, და სხვებმა (ლომის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი), სონორის უნივერსიტეტი (მექსიკა), ბოხუმის უნივერსიტეტი (რური, გერმანია), წარმოადგინეს მოხსენება: **დიზაინი და ამმრავი მზის ავტომობილისათვის**. მოხსენება იყო საინტერესო და კომპლექსური. მასში მონაწილეობს მეცნიერთა ჯგუფი სამი სახელმწიფოდან. შედეგად დისპუტი. ავტორები თავიანთი გამოკვლევებით ასაბუთებენ, რომ 2050 წლისათვის ნავთობის მარაგი სრულიად ამოიწურება და საჭიროა ალტერნატიული წყაროების ძიება. მათ წარმოადგინეს საინტერესო თეორიული ნაშრომი და მზის ენერჯიაზე მომუშავე მანქანის პრინციპული სქემა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო სამსახურის საქმიანობის შესახებ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2015 წლის 30 სექტემბერს მოისმინა მოხსენება: „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო სამსახურის საქმიანობის შესახებ.“ **მომხსენებელი: აგროსაინჟინრო სამსახურის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნუგზარ ებანოიძე.**

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი - აგროსაინჟინრო კვლევის სამსახური შეიქმნა 2014 წლის 15 ივლისს. სამსახურის სამტატო განრიგი: სამსახურის უფროსი: ტექ. მეც. დოქტორი, პროფესორი **ნუგზარ ებანოიძე,**

მთავარი სპეციალისტები: ტექ. მეც. დოქტორი, პროფესორი **ოთარ ქარჩავა;** აკადემიური დოქტორი **ვლადიმერ მირუაშვილი;** უფროსი სპეციალისტი: დოქტორანტი **გიორგი ქუთელია** სპეციალისტი: დოქტორანტი **ნოდარ ნათენაძე.**

სამსახურის დანიშნულება: საქართველოში გავრცელებული ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების დამუშავება, შესაბამისი მანქანათა სისტემების შერჩევა, მათი მუშაობის ანალიზი და ადაპტაცია; თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ტექნიკის რეკლამირება; ვერმერებისა და მექანიზატორების ცოდნის ამაღლება.

სამსახურის მიზანი: საქართველოში ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ენერგორესურსდამზოგი და მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგიების დამუშავება და წარმოებაში გამოყენება, შესაბამისად მოსავლიანობის, პროდუქციის ხარისხის და კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

სამსახურის დანიშნულების და მიზნის გათვალისწინებით 2014 წლისათვის დასახულ იქნა კვლევის შემდეგი ძირითადი ამოცანები: მემცენარეობის წარმოების თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების ადაპტირება ინტენსიფიკაციის დონეების მიხედვით და ბიოენერგეტიკული შეფასება; სატრაქტორო აგრეგატების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების და საექსპლუატაციო პარამეტრების გაუმჯობესება; კარტოფილის წარმოების ენერგო რესურსდამზოგი ტექნოლოგიისა და შესაბამისი მანქანათა სისტემის შერჩევა, მუშაობის ანალიზი და ადაპტაცია საქართველოს მეკარტოფილეობის ზონებში; ჩაის, თხილის, დაფნის და სხვა კულტურების მოვლა-მოყვანისა და მოსავლის აღების ოპერაციების მექანიზაციის დონის ანალიზი და ამაღლების გზების ძიება.

2014 წელს აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის თანამშრომლების მიერ შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები: შედგენილ იქნა ექსპერიმენტული მექანიკური სახელოსნოს პროექტი სათანადო ჩარხ-დანადგარების შერჩევით, რომლის საფუძველზე დაკომპლექტებულ იქნა მცირე სიმძლავრის მექანიკური სახელოსნო. გეგმით გათვალისწინებულია 2016-2017 წლებში (სათანადო დაფინანსების შემთხვევაში) მძლავრი ექსპერიმენტალური სახელოსნოს შექმნა. დამუშავებული იქნა კარტოფილის წარმოების თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგია. შერჩეულ იქნა კარტოფილის ამლები მანქანები და კომბაინები. გამოცდილი იქნა სხვადასხვა ფორმის კარტოფილის ამლები მანქანები და კომბაინები. ჩატარებულ იქნა მათი მუშაობის ანალიზი. მათ შორის გამოცდილ იქნა გერმანული წარმოების ორი რიგიანი კარტოფილის ამლები მანქანა „RL 1700“; რუსული წარმოების „KCT -1,4“; გერმანული წარმოების ერთ რიგიანი კარტოფილის ამლები კომბაინი „SE 75-40“, პოლონური წარმოების ერთრიგიანი ამლები მანქანა „ANNA -7-644“. კარტოფილის მოსავლის ამლები მანქანის და კომბაინების გამოცდის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგენილი იქნა მანქანის ძირითადი სამუშაო ორგანოს - ამომთხრელი

სახნისების კონსტრუქციების ნაკლოვანებანი, რომელიც ძირითადად გამოიხატება ნიადაგისა და კარტოფილის მასის მიწოდების სირთულეში, განსაკუთრებით მძიმე და ჭარბტენიან ნიადაგებში. შესწავლილი იქნა ჩაის წარმოების დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები. დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტში (ზუგდიდი, წალენჯიხა, ხობი, ჩხოროწყუ, მარტვილი, ჩაქვი, ქობულეთი, ლანხუთი, ანასეული). სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემოსული წერილების საფუძველზე გამოცდილ იქნა ჩაის გავლურებული პლანტაციების მძიმედ სასხლავ - დამქუცმაცებელი მანქანები. მათ შორის, გამომგონებელ სულიკო ხალვაშის (ჩაქვი), ტარიელ სიჭინავას (ჩხოროწყუ) და სხვების მიერ თვითმავალ შასზე მოწყობილი პრიმიტიული კონსტრუქციის ჩაის მძიმედ სასხლავი მანქანები. გამომგონებლებს მიეცათ კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები მანქანის კონსტრუქციის გაუმჯობესების მიზნით. ჩაის გავლურებული პლანტაციების აღდგენისათვის ამჟამად არსებული მანქანებიდან წარმოებაში ფართო მასშტაბით გამოიყენება აკადემიკოს რევაზ მახარობლიძის ხელმძღვანელობით დამუშავებული სასხლავ - დამქუცმაცებელი როტაციული აპარატი. ჩაის სასხლავ-დამქუცმაცებელი არსებული მანქანების მუშაობის გაანალიზების საფუძველზე დამუშავებული იქნა ჩაის მძიმედ სასხლავ - დამქუცმაცებელი და მინერალული სასუქებით მკვებავი კომბინირებული აგრეგატის სქემა (განაცხადი წარდგენილია საქპატენტში გამოგონებაზე). შესწავლილი იქნა ჩაის ნედლეულის გადამამუშავებელი მცირე საწარმოსთვის გამოსადეგი სამამულო და საზღვარგარეთ არსებული მანქანა - დანადგარები, მათ შორის მიზანშეწონილადაა მიჩნეული გამომგონებელ სულიკო ხალვაშის მანქანა დანადგარების კონსტრუქციების გაუმჯობესება (ავტორის მიერ) და მათი გამოყენება მცირე სიმძლავრის საწარმოებში. გამომგონებელ ინგუშ ჭოლაძესთან ერთად დამუშავებულ იქნა ჩაის საშრობი მარტივი კონსტრუქციის კარადის სქემა. (განაცხადი წარდგენილ იქნა საქპატენტში გამოგონებაზე). ხეხილოვანი, კაკლოვანი და სხვა კულტურების მოსავლის აღების ოპერაციების მექანიზაციის მიზნით დამუშავებულ იქნა ნაყოფების საბერტყი და დამჭერი მოწყობილობების სქემები. დამზადებულ და თხილის პლანტაციებში გამოცდილ იქნა ვიბრაციული ტიპის საბერტყი მოწყობილობა, რომელიც დაააგრეგატირებულია მოტობლოკზე „სუპერ - 610“ ქლუთასი.

საზღვარგარეთ არსებული და სამამულო მანქანების მუშაობის შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე დამუშავებული იქნა კაკლოვანი და ხეხილოვანი კულტურების საბერტყ - შემგროვებელი მანქანის ტექნოლოგიური და კინემატიკური სქემები (განაცხადი წარდგენილია საქპატენტში გამოგონებაზე). 2015-2016 წლებში გათვალისწინებულია

აღნიშნული სექციების მიხედვით მანქანის დამზადება და გამოცდა საწარმოო პირობებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამუშავებული „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ.“ დოკუმენტის ერთ-ერთ სტრატეგიულ ღონისძიებას წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის და ფერმერთა ცოდნის ამაღლება. ამ მიმართულების შესაბამისად აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის მიერ შედგენილია სამუშაო პროგრამა - მეთოდისა „სასოფლო - სამეურნეო წარმოების თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების კვლევა, ადაპტაცია და ფერმერთა ცოდნის ამაღლება“ (ხელმძღვანელი ტექ. მეც. დოქტორი პროფ. ნუგზარ ებანოიძე), რომელიც ითვალისწინებს რამოდენიმე პროექტის დამუშავებას, მათ შორის :

მემცენარეობის პროდუქციის წარმოების თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების დამუშავება და გამოყენება საქართველოს პირობებში. (ხელმძღვანელი ტექ. მეც. დოქტორი პროფ. ოთარ ქარჩავა).

სატრაქტორო აგრეგატების ტექნიკო - ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება (ხელმძღვანელი აკადემიური დოქტორი ვლადიმერ მირუაშვილი).

კარტოფილის მოსავლის ამღები მანქანის მოდერნიზაცია (ხელმძღვანელი დოქტორანტი ნოდარ ნათენაძე).

ხეხილოვანი და კაკლოვანი კულტურების მოსავლის ამღები მანქანების მუშაობის ანალიზი და ადაპტაცია. (ხელმძღვანელი ტექ. მეც. დოქტორი პროფ. ნუგზარ ებანოიძე).

2015 წლის გასულ პერიოდში ამ პროექტების მიხედვით შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

პროგრამის პირველი პროექტის შესაბამისად დამუშავებულია რამდენიმე კულტურის თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგია, მათ შორის: თამბაქოს წარმოების თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიები; თხილის გაშენების და წარმოების თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიები; სრულასაკოვანი ჩაის წარმოების თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიები; ჩაის რეკულტივაციის და გაშენების თანამედროვე მანქანები; სათიბ-სადოვრების გაუმჯობესების თანამედროვე მანქანათა სისტემები; ნაკვეთის რეკულტივაციის მანქანათა სისტემები;

პროგრამის მეორე პროექტზე „სატრაქტორო

აგრეგატების ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება“ ჩატარებულია თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები. დამზადებულია სატრაქტორო აგრეგატის მოდერნიზებული ჰიდრავლიკური საკიდი სისტემა, რომლის გამოცდა ჩატარდა კასპის მუნიციპალიტეტში. გამოცდის შედეგად მიღებულ იქნა დამაკმაყოფილებელი შედეგები. 2015 წლის მეორე ნახევარში გათვალისწინებულია სახნავი აგრეგატის შედარებითი გამოცდები.

მესამე პროექტის „კარტოფილის მოსავლის ამღები მანქანის მოდერნიზაცია“ შესრულების მიზნით, 2014 წელს ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტული ცდები. გამოცდილ იქნა საქართველოში შემოტანილი საზღვარგარეთული მანქანები და კომბაინები. გამოცდებმა გვიჩვენა კარტოფილის ამღები მანქანების და კომბაინების სამუშაო ორგანოს (ამომთხრელი სახნისების) ნაკლოვანებები, რაც ძირითადად განპირობებულია საქართველოს მეკარტოფილეობის რეგიონებში არსებული ნიადაგობრივი და კლიმატური პირობებით, კერძოდ მძიმე და ჭარბტენიანი ნიადაგების ფონით. არსებული ნაკლოვანებების გაანალიზების საფუძველზე დამუშავებულ იქნა აქტიური და პასიური სამუშაო ორგანოს კონსტრუქციული სექციები, რომელთა კონსტრუქციული დამუშავება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის მეორე ნახევარში.

მეოთხე პროექტის „ხეხილოვანი და კაკლოვანი კულტურების მოსავლის ამღები მანქანების მუშაობის ანალიზი და ადაპტაცია“, შესრულების მიზნით შესწავლილია ხეხილოვანი და კაკლოვანი კულტურების მოსავლის ამღები საზღვარგარეთ არსებული მანქანების კონსტრუქციები. გაანალიზებულია მათი მუშაობის პროცესები. არსებული მანქანების უპირატესობის და ნაკლოვანებების გათვალისწინებით დამუშავებულია ნაყოფების საბერტყ-დამჭერი, მარტივი კონსტრუქციის ვიბრაციული ტიპის მანქანა, რომელიც გამოცდილ იქნა წილკნისა და ჯიღურას საცდელ ბაღებში, თუთისა და ტყემლის ნაყოფების შესაგროვებლად.

2014 -2015 წლებში აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულია 7 სტატია და საქპატენტში გაგზავნილია 12 განაცხადი გამოგონებაზე. გარდა ამისა აგროსაინჟინრო კვლევის თანამშრომლები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა კომისიების მუშაობაში და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან გადმოგზავნილი წერილების განხილვაში.

მრგვალი მაგიდა

2015 წლის 14 ივლისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მევენახეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის აკად. ნ. ჩხარტიშვილის და მისი ჯგუფის ინიციატივით ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე: "სექციისაგან დაზიანებული ვენახის მოვლისა და გარანტირებული დაცვის ღონისძიებების შესახებ".

მრგვალ მაგიდას უძღვებოდა სსმმ აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე. მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობდნენ აკადემიკოსები გ. მარგველაშვილი, გ. ბადრიშვილი, ი. ვასაძე, ჯ.ონიანი, გ. ცაგურიშვილი, რ. ჩაგელიშვილი, შ. ჭალაგანიძე, რ. მახარობლიძე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ე. შაფაქიძე, ო. ლიპარტელიანი, თ. თურმანიძე, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ა. გიორგაძე და დოქტორი გ. მოსაშვილი; მოწვეული სტუმრები - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი გ. სამანიშვილი, სააგენტოს თანამშრომლები პროფ. დ. მალრაძე და ი. მდინარაძე, გ. ნოდინას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის ატმოსფერული ფიზიკის სექტორის გამგე ა. ამირანაშვილი და მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ვ. ჩხელაძე, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო სამსახურის უფროსი პროფ. ნ. ებანოძე, დეპუტატი მ. მუხრანბერი და გამომგონებელი ა. ორჯონიკიძე და სხვები.

მრგვალ მაგიდაზე განიხილეს შემდეგი საკითხები: პრობლემების აქტუალურობა, საქართველოში განხორციელებული ღონისძიებების შედეგები, არსებუ-

ლი მდგომარეობა და პერსპექტივები (აკად. ნ. ჩხარტიშვილი), სექციისაგან დაზიანებული ვაზის მოვლა (ი. მდინარაძე), სექციის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის გამოცდის შედეგები, მდგომარეობა და პერსპექტივები (ა. ამირანაშვილი და ვ. ჩხელაძე), ვენახის სექცია-დამცავი ბაღებით გადახურვის შედეგები საქართველოში და სამომავლო პერსპექტივები (ნ. ჩხარტიშვილი).

აღნიშნულ საკითხებზე აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსებმა შ. ჭალაგანიძემ, ი. ვასაძემ, ჯ. ონიანმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ე. შაფაქიძემ, ო. ლიპარტელიანმა, თ. თურმანიძემ, მოწვეულმა სტუმრებმა დ. მალრაძემ და ა. ორჯონიკიძემ.

მრგვალ მაგიდაზე გაკეთებული მოხსენებების, გამოთქმული შენიშვნების და მოსაზრებების საფუძველზე მიღებული იქნა შესაბამისი დადგენილება, რომელიც გადაეგზავნება სახელისუფლო ორგანოებს.

აღინიშნა აგრეთვე, რომ მსგავსი ღონისძიება აკადემიის ინიციატივით და იგივე შემადგენლობით მიზანშეწონილია ჩატარდეს საქართველოს კახეთის, ქვემო და შიდა ქართლის და სხვა რეგიონებში.



მრგვალი მაგიდის სხდომათა დარბაზი. შესავალი სიტყვით გამოდის აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე.



მრგვალ მაგიდაზე ძირითადი მოხსენებით გამოდის აკად. ნ. ჩხარტიშვილი.

გამსვლელი სემინარი წილკანში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების ინიციატივით 2015 წლის 15 ივლისს მოეწყო გამსვლელი სემინარი სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წილკანის ექსპერიმენტულ ბაზაში.

აკადემიიდან სემინარში მონაწილეობდნენ აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე, აკადემიოსები გ. მარგველაშვილი, ნ. ჩხარტიშვილი, გ. ცაგურიშვილი, რ. ჩაგელიშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები თ. ლიპარტელიანი და ე. შაფაქიძე, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტ. ა. გიორგაძე.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ი. ნოზაძემ, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილემ, პროფ. გ.ბასილაძემ, დეპარტამენტის უფროსმა, დოქტ. ნ.კაკაბაძემ, სამსახურის უფროსებმა - პროფ. ნ. ებანოიძემ და დოქტ. გ. წერეთელმა, ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, დოქტ. ქ. მჭედლიშვილმა და სხვა.

სემინარზე ძირითადი მოხსენებით გამოვიდა ერთწლოვანი კულტურების კვლევის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თ.ლიპარტელიანი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ერთწლოვანი კულტურების (ხორბალი, სიმინდი და ა.შ) სელექცია-მეთეს-ლეობის შედეგები და წარმოადგინა საქპატენტში დარეგისტრირებული სიმინდის ახალი ჯიშების დახასიათება.

სემინარზე ინფორმაციები გააკეთეს ი. ნოზა-

ძემ, გ. ბასილაძემ, ნ. კაკაბაძემ, აკად. გ. ალექსიძემ, ნ. ჩხარტიშვილმა, გ. ცაგურიშვილმა, გ. მარგველაშვილმა და სხვა.

მოეწყო სახვეწებელი გასვლა უშუალოდ საცდელ ნაკვეთებში, სადაც იცდებიან სიმინდის, ხორბალის, ქერის, ლობიოს, თამბაქოს და სხვა კულტურების სხვადასხვა ჯიშები; სემინარის მონაწილეებს სამეცნიერო-კვლევითი და ჯიშთაგამოცდის საკითხებზე ესაუბრებოდნენ ნ. კაკაბაძე, თ. ლიპარტელიანი, გ. წერეთელი, ნ. ებანოიძე. მათ აგრეთვე გააცნეს ექსპერიმენტულ ბაზაში სათბურში გამოყვანილი ბოსტნეული კულტურების (კიტრი, პომიდორი) ახალი ჯიშები და მიმდინარე სელექციური მუშაობის დეტალები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ მიზანშეწონილია აკადემიის ინიციატივით აღნიშნული ტიპის გამსვლელი სემინარები მოეწოს სოფლის მეურნეობის სხვა დარგების სელექციური და ჯიშთა გამოცდის აქტუალურ საკითხებზე და საერთოდ, აკადემიამ და სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა ერთობლივად უნდა აწარმოონ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა სოფლის მეურნეობის ყველა მიმართულებით.



სემინარის მუშაობას ხელმძღვანელობდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე გ. ბასილაძე.



სემინარის მონაწილეებს სელექციურ მუშაობასა და ჯიშთა გამოცდაზე ესაუბრება სელექციონერი, აკადემიის წ/კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი.



სემინარის მონაწილეები საცდელ ნაკვეთში. მარცხნიდან: ა. გიორგაძე, ო. ლიპარტელიანი, გ. ცაგურიშვილი, გ. ალექსიძე, გ. მარგველაშვილი, ი. ნოზაძე, ნ. ჩხარტიშვილი, ე. შაფაქიძე, გ. ბასილაძე.



ინფორმაცია უკრაინელი სტუმრები საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2015 წლის 16 ივლისს აკადემიის საქმიანი ვიზიტით ესტუმრა უკრაინის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: **სტანისლავ ნიკოლაენკო** - უკრაინის (ქ. კიევი) ბიორესურსების და ბუნებათ-სარგებლობის ეროვნული უნივერსიტეტის რექტორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **ვადიმ კონდრატიუკი** - ამავე უნივერსიტეტის მეცხოველეობის და წყლის ბიორესურსების ფაკულტეტის დეკანი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, **ვადიმ ტაჩუკი** - უნივერსიტეტის საერთაშორისო განყოფილების უფროსი, მეცნიერებათა დოქტორი.

აკადემიის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **გურამ ალექსიძემ**, ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **გივი ჯაფარიძემ**, აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, აკადემიის წ/კორესპონ-

დენტმა **ელგუჯა შაფაქიძემ** და პრეზიდენტის მოადგილემ, დოქტორმა **ანატოლი გიორგაძემ**.

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფ. ს. ნიკოლაენკომ ისაუბრა უნივერსიტეტის შესახებ და იმ ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობებზე, რომელიც უკრაინის მხარეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დახმარების მიმართულებით აქვს დაგეგმილი. აღნიშნული უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა უკრაინაში - იგი მიიცავს სამ სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს, 13 ფაკულტეტს, 10 სასწავლო-სამეცნიერო ფილიალს უკრაინის სხვადასხვა რეგიონებში. უნივერსიტეტში სწავლობს 26 000 სტუდენტი, 600 ასპირანტი, დოქტორანტი და მაძიებელი. უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პროცესს ემსახურება 2600 სასწავლო-

სამეცნიერო პერსონალი, მათ შორის 300 პროფესორი და მეცნიერებათა დოქტორი, 1000-ზე მეტი დოცენტი და მეცნიერებათა კანდიდატი.

შეხვედრაზე ძირითადად განიხილეს აკადემიასა და უკრაინის ეროვნულ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების ძირითადი დებულებების შესრულების მდგომარეობა;

აკადემიკოსმა გ. ალექსიძემ სტუმრებს გააცნო აკადემიის ისტორია, მისი სტრუქტურა, მუშაობის მიმართულებები, აკადემიის საქმიანობის ძირითადი მომენტები და გამოთქვა სურვილი უკრაინის და საქართველოს აგრარიკოს მეცნიერებს შორის თანამშრომლობის უფრო გაღრმავების შესახებ.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის შეხვედრა უკრაინის (ქ. კიევი) ბიორესურსების და ბუნებათსარგებლობის ეროვნული უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.

აკადემიის სტუმრები მეკარტოფილეობის საერთაშორისო ცენტრიდან (CIP)

2015 წლის 11 აგვისტოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე შეხვდა მეკარტოფილეობის საერთაშორისო ცენტრის (CIP) ახლის დირექტორს, დოქტ. ჯულიან პარრის, ამავე ცენტრის ცენტრალური ახლის და კავკასიის (CAC) რეგიონალურ სამეცნიერო კოორდინატორს, დოქტ. რუსუდან მდივანს და ICARDA-ს ცენტრალური ახლის და კავკასიის რეგიონალურ კოორდინატორს, დოქტ. ჯოზეფ ტუროკს. შეხვედრას ესწრებოდა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წ/კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე.

საუბარი შეეხო ამიერკავკასიაში და ძირითადად საქართველოში მეკარტოფილეობის განვითარების საკითხებს, ამ დარგში ახალი ჯიშების და ტექნოლოგიების გამოცდას და დანერგვას ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

ამ მიმართულებით ამიერკავკასიის რეგიონში ძირითადი კოორდინატორის ფუნქცია აკისრია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, რომლის მეთვალყურეობითაც მოხდება კარტოფილის ახალი ჯიშების შემოტანა და დანერგვა. ორივე მხარემ გამოთქვა სურვილი, რომ საჭიროა შეიქმნას მეკარტოფილეობის საერთაშორისო ცენტრის (CIP) განყოფილება რომელიც მოემსახურება ამიერკავკასიის რეგიონს. მომზადდება პროექტი,

რომელიც გაითვალისწინებს CIP-დან კარტოფილის ახალი ჯიშების შემოტანას, რომლებიც კოლორადოს ხოჭოსა და ფიტოფტორის მიმართ იქნებიან მედეგი. აღნიშნული პროექტი გამოიგზავნება აკადემიაში აპრობაციის მიზნით და აკადემიის დასკვნის შემდეგ მოხდება მისი განხორციელება.

სტუმრები დაინტერესდნენ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციით, რომელიც ჩატარდება 2015 წლის 4-6 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, კონფერენციის თემაა "გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება" და სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში.



აკადემიის პრეზიდენტის, აკად. გურამ ალექსიძის შეხვედრა მეკარტოფილეობის საერთაშორისო ცენტრის (CIP) და ICARDA-ს წარმომადგენლებთან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის შეხვედრა

მიმდინარე წლის 9 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტში გაიმართა შეხვედრა კომიტეტის თავმჯდომარეს გელა სამხარაულსა და აკადემიის პრეზიდენტ გურამ ალექსიძეს შორის. შეხვედრას ესწრებოდნენ კომიტეტის აპარატის უფროსი ივერი ახალბედაშვილი და აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

შეხვედრაზე აგრარული სექტორის სამეცნიერო პოტენციალსა და განვითარების პერსპექტივებზე და სოფლის მეურნეობის დარგში განხორციელებული კვლევების ეფექტურობაზე იმსჯელეს. აღინიშნა, რომ ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში სოფლის მეურნეობის სფეროში დაგროვილი მეცნიერული გამოცდილებისა და კვლევების პრაქტიკაში გამოყენება თითქმის აღარ ხდება. სოფლებში სავალლო ვითარება შეიქმნა, ფერმერებს საბაზისო, თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა არ გააჩნია, რამაც დღის წესრიგში ფერმერებისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და შესაბამისი ცოდნით აღჭურვის საკითხი დააყენა.

გელა სამხარაულის განცხადებით, მოქმედი ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოადგენს, ხოლო საბოლოოდ წარმატებები კი ამ დარგში მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირით მიიღწევა. ეს შეხვედრაც ამ მიზნით მოეწყო. იგი აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ინიციატივით გაიმართა,

რომელსაც მიაჩნია, რომ აგრარულ სექტორში სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებას ალტერნატივა არ გააჩნია.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა გურამ ალექსიძემ კომიტეტის ხელმძღვანელობას აკადემიის სტრუქტურის, საქმიანობის მთავარი მიმართულებების, განხორციელებული კვლევების, საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და ფერმერებთან თანამშრომლობისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის დეტალებზე ისაუბრა. მან ასევე აკადემიის მიერ მომზადებულ რამდენიმე პროექტზე ინფორმაცია წარმოადგინა რომლითაც საქართველოს მთავრობაცაა დაინტერესებული.

შეხვედრაზე საკანონმდებლო კუთხით თანამშრომლობაზეც ისაუბრეს. აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ ამ მიმართულებით გარკვეული წინადადებებიც წარმოადგინა, რომლებსაც კომიტეტი უახლოეს დროში განიხილავს.



შეხვედრა საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტში

გლობალური ფორუმის მე-6 წლიური თათბირი

მიმდინარე წლის 14-17 სექტემბერს ყირგიზეთში (ისიკ-ყული) ჩატარდა “სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო სამსახურის გლობალური ფორუმის მე-6 წლიური თათბირი”, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის 150-მდე წარმომადგენელმა. თათბირის თემა იყო “სოფლის მეურნეობის სამსახურის გლობალური საუკეთესო პრაქტიკა” და ითვალისწინებდა სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სისტემების გაცნობას და მათგან საუკეთესოს გაგაცნობას. საქართველოდან თათბირში მონაწილეობა მიიღო – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. საქართველოდან აღნიშნულ ფორუმში ასევე მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მ. გელაშვილი, იმერეთის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი რ. ძიძიშვილი, დ. ბირკაძე და ლ. ბასიშვილი, საკონსულტაციო ცენტრის (SEAS) –ის ხელმძღვანელი საქართველოში ბ. მიულერი.

თათბირზე წარმოდგენილი იქნა მოხსენება საქართველოში საკონსულტაციო ცენტრების მუშაობის შესახებ, სადაც ცალკე იქნა გამოკვეთილი აკადემიის როლი ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის პროცესებში. აქაც და შემდეგ გამოსვლებშიც სპეციალურად აღინიშნა ის მცდელობა, რასაც აკადემია ანხორციელებს ამ მიმართულებით. გამოცემული აქვს 50-ზე მეტი პრაქტიკული რეკომენდაცია ფერმერებისათვის, ხოლო ახალი წლიდან იწყება კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მუშაობა სპეციალისტებისა და ფერმერებისათვის. კურსების მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც აკადემიის წევრები, ასევე მოწვეული სპეციალისტები. გამოითქვა მოსაზრება მომავალ წელს ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თათბირის ჩატარების შესახებ საქართველოში აღნიშნულ საკითხებზე.



გლობალური ფორუმის მე-6 წლიური თათბირის მონაწილეთა ერთი ჯგუფი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე და საკონსულტაციო ცენტრის (SEAS)-ის ხელმძღვანელი საქართველოში ბ.მიულერი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაციასთან ერთად

მილოცვა

აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი



2015 წლის 17 სექტემბერს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სპეციალისტსა და ექსპერტს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსსა და ვიცე-პრეზიდენტს, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოს – “წმინდა გიორგის” ოქროს ორდენის, პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემიისა სხვა სახელმწიფო ჯილდოების კავალერს – ბატონ ნოდარ ჩხარტიშვილს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო ულოცავს იუბილარს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ა 85 ლ



საიუბილეო სხდომაზე იუბილარს ესალმება აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე
(მარცხნიდან: აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე
იური ნოზაძე, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე)



საიუბილეო სხდომაზე მოხსენებით იუბილარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გამოდის
აკადემიკოსი გ. მარგველაშვილი

მრგვალი მაგიდა

რუსთაველის ფონდის მიერ აგროსაინჟინრო დარგში დაფინანსებული საგრანტო თემების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში 2015 წლის 29 სექტემბერს გაიმართა მრგვალი მაგიდა: "რუსთაველის ფონდის მიერ აგროსაინჟინრო დარგში დაფინანსებული საგრანტო თემების შესახებ".

მრგვალი მაგიდის ფორმატში განხილვა შეეხო რუსთაველის ფონდის მიერ აგროსაინჟინრო დარგში დაფინანსებულ შემდეგ საგრანტო თემებს, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ან მათ შესრულებაში იღებენ მონაწილეობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელები: "დარტემის თეორიისა და რეოლოგიის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო პროცესების, მანქანების და იარაღების დამუშავებაში." ხელმძღვანელი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ზაზა მახარობლიძე. შესრულების ვადები 2013-2016 წელი; "სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფერდობზე მუშაობის ფიზიკური და მათემატიკური მოდელირების მეთოდების დამუშავება." ხელმძღვანელი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ მახარობლიძე. შესრულების ვადები 2014-2017 წელი;

"ტექნოლოგიური პროცესების ენერგოდანა-

ხარჯების გაანგარიშების საფუძველზე რაციონალური სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის აუცილებელი ტექნიკის ნომენკლატურისა და რაოდენობის განსაზღვრის მეთოდის დამუშავება რეგიონში კულტურათა სახეობებისა და დაკავებული ფართობების მიხედვით." ხელმძღვანელი- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელგუჯა შაფაქიძე. შესრულების ვადები 2015-2018 წელი; "თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაზრდის რესურსდამზოგი ინოვაციური ტექნოლოგიების თეორიულ-ექსპერიმენტული გამოთვლა და ოპტიმიზაცია." ხელმძღვანელი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯემალ კაციტაძე. შესრულების ვადები 2015-2018 წელი;

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა რევაზ მახარობლიძემ. გამოითქვა მოსაზრება, რომ აღნიშნულ თემაზე მრგვალი მაგიდის ჩატარება აკადემიაში მოხდეს პერიოდულად საგრანტო თემების მონიტორინგის მიზნით.

მესამე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 6 საკითხი. მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება" მოსამზადებელი საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

მომხსენებლები: აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე;

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი:

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორის მოადგილე:

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე

სსმ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე

სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ტექნიკის დოქტორი გივი მისაშვილი

"აკადემიის მაცნე" - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" დამატება. "News of Academy"- addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.